განკარგულება:**g-31. 31253037**
თარიღი:**30/10/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

2025 წლის 30 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 28–ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის N2 სხდომის ოქმის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2025 წლის 30 ოქტომბრის №2 სხდომის ოქმის შესაბამისად:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 32 წევრისგან, აქედან: 26 წევრი (81,2 პროცენტი) არის ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ წევრი, 3 წევრი (9,4 პროცენტი) ფრაქცია „ ხალხის ძალა“ 3 წევრი, ხოლო 3 წევრი (9,4 პროცენტი) უფრაქციო წევრები.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სრულფასოვნად ფუნქციონირების მიზნით განისაზღვროს თითოეული კომისიის შემადგენლობა მაქსიმუმ 14 წევრით.

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“– 10 (ათი) კომისიის წევრი;

ბ) ფრაქცია „ხალხის ძალა“– 2 (ორი) კომისიის წევრი;

გ) უფრაქციო წევრები – 2 (ორი) კომისიის წევრი;

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული საკითხი, იმის შესახებ , რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ახლაარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომის შემდეგ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კომისიების წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობისა კვოტებს განსაზღვრავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია და ამტკიცებს საკრებულოს ბიურო.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი